ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში

თბილისი, საქართველო
17 ივნისი, 2016

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო დელეგაციის მიერ. დელეგაციის მიზანი იყო 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება; ზოგადი პოლიტიკური გარემოს ანალიზი; იმ ფაქტორების შესწავლა, რომელსაც საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვაზე გავლენის მოხდენა შეუძლია; და რეკომენდაციების გაცემა, რომელიც მშვიდობიანი, სანდო არჩევნებისა და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით წარმოებულ დიალოგსა და კონსენსუსის მიღწევას ემსახურება.

დასკვნა

8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს საქართველო არაერთი დემოკრატიული რესურსით აღჭურვილი ხვდება, მაგრამ სახეზეა მნიშვნელოვანი, თუმცა გადალახვადი გამოწვევებიც. საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, ბევრი მიღწევით იამაყონ, მათ შორის - მრავალფეროვანი პოლიტიკური გარემოთი. მათი დიდი უმრავლესობა ქვეყნის დემოკრატიულ კურსს უჭერს მხარს. ამავდროულად, ქვეყანას აგრესიული და ავტორიტარული მსოფლმხედველობისგან ევრო-ატლანტიკური ღირებულებების დასაცავად უწევს ბრძოლა. უფრო მეტიც, დღემდე ვერ მოხერხდა ლიდერებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ არსებული არაერთი მაღალი მოლოდინის სრულად გამართლება. საქართველოში დემოკრატიული პროცესების შეფერხებას გავლენა ექნება მთლიანად რეგიონზე, ამიტომაც ოქტომბრის არჩევნებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

NDI-ის სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, საქართველოში დემოკრატიული საარჩევნო პროცესისთვის საჭირო კომპონენტები უმეტესწილად არსებობს. თუმცა ქვეყნის ლიდერებს ამ პოტენციალის რეალობაში მოსაყვანად პოლიტიკური ძალისხმევისა და პარტიული თავშეკავებულობის გამოყენება მოუწევთ. საპარლამენტო არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარება სამი მთავარი გამოწვევის დაძლევაზეა დამოკიდებული: შესაძლო ძალადობა და დაშინება; უნდობლობა კანონის მიუკერძოებლად აღსრულებასთან დაკავშირებით; და აღქმა, რომ გარკვეულ პირებს კულისებს მიღმა პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. დამატებით, დელეგაციამ საარჩევნო კანონმდებლობის და ადმინისტრაციის, პარტიების კამპანიების და ზოგადი საარჩევნო გარემოს ზოგიერთი

ასპექტის ირგვლივ არსებული პრობლემების იდენტიფიცირება მოახდინა. საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, NDI-მ ხელისუფლებას და საარჩევნო ადმინისტრაციას, პარლამენტს, პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ზემოხსენებული საკითხების გასაუმჯობესებლად რეკომენდაციები შესთავაზა.

საქართველოს მოქალაქეების იმედებისა და მოლოდინების გასამართლებლად წარმომადგენლობითი, ანგარიშვალდებული, ეფექტური და რეფორმებზე ორიენტირებული საკანონმდებლო ორგანოს არჩევა უმნიშვნელოვანესია. ქვეყნის ლიდერები უნდა იყვნენ სამაგალითონი და საარჩევნო პროცესის სამართლიანად და მშვიდობიანად ჩატარების ამოცანა საკუთარ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დააყენონ. მათ უნდა შეძლონ მომავალზე ორიენტირებული, საკითხებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება, რომელიც საქართველოს მოქალაქეების საჭიროებებს პასუხობს; და იმუშავონ პარტიული ინტერესების მიღმა, როცა საქმე ქვეყნის მნიშვნელოვან ინტერესებს ეხება. წინასაარჩევნო პერიოდში თანამშრომლობის პრეცედენტის შექმნა განსაკუთრებით კონსტრუქციული იქნება იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების შემდეგ, დიდი ალბათობით, ქვეყანას კოალიციური მმართველობა დასჭირდება. ამ არჩევნების ყველა მონაწილემ უნდა იკისროს ვალდებულება, რომ აღიარებს არჩევნების შედეგებს, თუ სანდო ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები პროცესს დემოკრატიულად შეაფასებენ. ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებას, თავის მხრივ, ენიჭება პასუხისმგებლობა, რომ დიპლომატიის, მხარდაჭერისა და ინტეგრაციისკენ მიმართული კონკრეტული ნაბიჯების გზით საქართველოს ამ მნიშვნელოვანი პროცესების წარმართვაში დაეხმაროს.

პოლიტიკური კონტექსტი

ოქტომბერში საქართველო, 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რიგით მერვე საპარლამენტო არჩევნებს არაერთი დემოკრატიული რესურსით აღჭურვილი უახლოვდება, მაგრამ სახეზეა მნიშვნელოვანი, თუმცა გადალახვადი გამოწვევებიც.

საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, ბევრი მიღწევით იამაყონ. პლურალიზმი პოლიტიკური და სამოქალაქო გარემოს დამკვიდრებული ნორმაა. ფუნდამენტური თავისუფლებები, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, დიდწილად დაცულია. მედია გარემო რეგიონში ყველაზე თავისუფალი და მრავალფეროვანია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. კონკურენტული, მრავალპარტიული არჩევნები ჩვეულ ნორმას წარმოადგენს. ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტები ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს. საქართველოს წარმატება წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრის სფეროში საერთაშორისო მოდელად იქცა. მოქალაქეებისთვის მეტად პრიორიტეტული ჯანდაცვისა და განათლების სფეროში მიღწეული წარმატებები პოზიტიურადაა შეფასებული. საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი და დასავლელ მეზობლებთან ვიზა ლიბერალიზაციის გზაზე იმყოფება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას უჭერს მხარს.

ამავდროულად, ქვეყანას აგრესიული და ავტორიტარული მსოფლმხედველობისგან ევრო-ატლანტიკური ღირებულებების დასაცავად უწევს ბრძოლა. რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპირებას განაგრძობს და ამასთანავე სავაჭრო ურთიერთობების, პროპაგანდის, ფულის შემოდინებისა და მუქარის მეშვეობით ზეწოლას ახორციელებს, რათა საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციას შეუშალოს ხელი. საქართველოს მოქალაქეები დღემდე ინარჩუნებენ ერთგულებას დამოუკიდებლობის, კეთილდღეობისა და დემოკრატიის მიმართ. თუმცა ეს პრინციპები ყოველ პოლიტიკურ გზაჯვარედინზე მორიგ გამოცდას გადის. საქართველოში დემოკრატიული პროცესების შეფერხებას მთლიანად რეგიონზე ექნება გავლენა.

საქართველოს მოქალაქეების მაღალი და მზარდი მოლოდინები მათი ლიდერებისა და ინსტიტუტების მიმართ სრულად არ გამართლდა. NDI-ის კვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოს მოქალაქეების უმეტესობა არ ეთანხმება, რომ პოლიტიკური პარტიები მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებენ. მათი ნდობა პარლამენტის, რიგი სამინისტროებისა და ლიდერების მიმართ დაბალია. ისინი თვლიან, რომ უგულვებელყოფილნი და არასათანადოდ ინფორმირებულნი არიან საკანონმდებლო ორგანოს შესახებ. სუსტი ეკონომიკა ამ წუხილს უფრო ამწვავებს. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა აღქმას, რომ არაანგარიშვალდებული ინდივიდები კულისებს მიღმა პოლიტიკაზე ახდენენ გავლენას - გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული და გამჭვირვალე პროცესის საზიანოდ.

შესაბამისად ოქტომბრის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია. სანდო საარჩევნო პროცესი ახალი მთავრობის მიმართ ნდობას გააძლიერებს და დემოკრატიის კონსოლიდაციასა და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას შეუწყობს ხელს. ეს იქნება აუცილებელი, და შეიძლება საკმარისი, წინაპირობა იმისა, რომ ქვეყანა წარმატებით გაუმკლავდეს საგარეო გამოწვევებს და წინ წაიწიოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ეს ასევე იქნება გზავნილი მთელი რეგიონისთვის, რომ დემოკრატიული პრინციპები, პრაქტიკა და ინსტიტუტები კვლავ მყარია.

დაკვირვებები და რეკომენდაციები

NDI-ის წინასაარჩევნო მისიის შეფასებით, საქართველოში დემოკრატიული საარჩევნო პროცესისთვის საჭირო კომპონენტები მეტწილად არსებობს. მისია ასევე სათანადოდ აფასებს ხელისუფლების მტკიცე ნებას სამართლიანი და ღია საარჩევნო პროცესის მიმართ.

ამავდროულად, ფართო პოლიტიკური სპექტრის წამყვანი ლიდერები თანხმდებიან, რომ საპარლამენტო არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარება სამი ძირითადი გამოწვევის დაძლევაზე იქნება დამოკიდებული: შესაძლო ძალადობა და დაშინება; უნდობლობა კანონის მიუკერძოებლად აღსრულებასთან დაკავშირებით; და აღქმა, რომ გარკვეულ პირებს კულისებს მიღმა პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ერთობლივად ამ გამოწვევებს აქვს პოტენციალი, დააზიანოს პროცესი, გადააფიქრებინოს ამომრჩეველს მონაწილეობის მიღება და შეარყიოს ნდობა არჩევნების შედეგების მიმართ. ცალკეული ინდივიდები პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა პოზიციიდან საარჩევნო კამპანიას და ფართო პოლიტიკურ გარემოს ბრძოლის ველად წარმოაჩენენ, სადაც თამაშის წესები

შესაძლებელია, უგულებელყოფილი იყოს ან გამოყენებულ იქნას პარტიული უპირატესობის მისაღწევად ან ძველი ანგარიშების გასასწორებლად. თუმცა დელეგაციის წევრებმა ძალიან პოზიტიურად შეაფასეს მმართველი გუნდისა და ოპოზიციური პარტიების მომავალზე ორიენტირებული ლიდერების კონსენსუსი, რომ ეს საკითხები სასწრაფო ყურადღებას მოითხოვს და ისინი მზად არიან ითანამშრომლონ პარტიული ინტერესების მიღმა ამ საკითხების მოსაგვარებლად.

ძალადობა და დაშინება

დელეგაციის თითქმის ყველა შეხვედრაზე ძალადობა და დაშინება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა. წინასაარჩევნო კამპანიის ამ ადრეულ ეტაპზე ეს ბრალდებები ეფუძნება როგორც წარსული მოვლენებით განპირობებულ შიშებს, ასევე კონკრეტულ ფაქტებს. თუმცა საარჩევნო პერიოდში მსგავსი საფრთხის აღქმას ან მოლოდინსაც კი შეუძლია, საარჩევნო პროცესზე საზიანო გავლენა მოახდინოს.

ყურადსაღებია 22 მაისის საკრებულოს შუალედური არჩევნების დროს კორცხელში მომხდარი განსაკუთრებულად შემაშფოთებელი ინციდენტი. მმართველი პარტიის მხარდამჭერებმა საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ოპოზიციური პარტიის ლიდერები და აქტივისტები, ასევე ჟურნალისტები ცემეს. დაშავებულებმა და მათ, ვინც ეს ინციდენტი გაანალიზა (რომელიც კარგად იყო აღბეჭდილი ვიდეოზე) აღნიშნეს, რომ ამ ინციდენტს კარგად კოორდინირებული და წინასწარ დაგეგმილი თავდასხმის ნიშნები ჰქონდა[1]. სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა საჯაროდ დაგმეს აღნიშნული დაპირისპირება, ისევე, როგორც პრეზიდენტმა, პრემიერ–მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ. თუმცა მთავრობისა და მმართველი პარტიის ზოგიერთმა თანამდებობის პირმა მწვავე საჯარო განცხადებები გააკეთა, რითაც მოხდა პასუხისმგებლობის თავიდან არიდება და ფაქტების არასწორად წარმოჩენა. ეს არ უწყობს ხელს დაძაბულობის განმუხტვას.

ქალები ხშირად არიან დაშინების მსხვერპლნი. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ერთ-ერთ თვითმმართველ ქალაქში მერობის ერთადერთმა ქალმა კანდიდატმა არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და ამის მიზეზად მასზე განხორციელებული ზეწოლა დაასახელა. კიდევ ერთი მაგალითია ბოლო თვეების განმავლობაში, მათ შორის დელეგაციის ვიზიტის დროს, მთავრობისა და ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერების ფარულად და უკანონოდ გადაღებული მაკომპრომეტირებელი ვიდეოების გამოქვეყნება ინტერნეტში. ამ ვიდეოებში ძირითადად ქალები არიან ნაჩვენები. როგორც ჩანს, აღნიშნული მასალის გამოქვეყნების მიზანი პოლიტიკოსებისა და იმ ინსტიტუტების დისკრედიტაციაა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ასევე პოლიტიკაში მონაწილეობის მსურველთათვის მოტივაციის წართმევაა.

ზოგიერთი მედია საშუალების ჟურნალისტმა NDI–ს მიაწოდა ინფორმაცია მათზე სიტყვიერი

[1] „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საია მთავარ პროკურორს მოუწოდებს, პირად კონტროლზე აიყვანოს კორცხელის 53-ე საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობრივი ფაქტების გამოძიება“, 2016 წლის 22 მაისი

თავდასხმისა და მუქარის, ასევე სამსახურიდან პოლიტიკურად მოტივირებული გათავისუფლებებისა და დევნის ფაქტების შესახებ, რომელიც მათ მიერ აღქმულ იქნა, როგორც მედიაში თვითცენზურის დამკვიდრების მცდელობა. ფარული ჩანაწერების სამიზნე რამდენიმე ცნობილი ჟურნალისტიც იყო. 2015 წლის ოქტომბერში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან რეგიონულ მედიაზე ზეწოლის 15 ფაქტი გამოავლინა.[2]

ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ფინანსური ზიანის შიშით, ბიზნესებს მათი საარჩევნო კამპანიის დაფინანსება არ სურთ. სანდო და მიუკერძოებელი სამოქალაქო ჯგუფების ლიდერები, რომლებიც არჩევნების მონიტორინგს ახორციელებენ, მაღალი რანგის პოლიტიკური ლიდერების მხრიდან პირადი თავდასხმებისა და მიკერძოებულობის ბრალდების მსხვერპლნი გახდნენ.

ძალადობასა და დაშინებას, როგორც განხორციელებულს, ისე აღქმულს, არჩევნებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თანამდებობის პირებს, პარტიისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებსა და კანდიდატებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ საარჩევნო კამპანია შიშის გარეშე წარმართონ. მთავრობამ უნდა გამოავლინოს ნება და აიღოს პასუხისმგებლობა, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას გაატარებს ძალადობისა და დაშინების ფაქტების მიმართ და მტკიცე და მკაფიო ზომებს მიმართავს იმისთვის, რომ მშვიდობიანი საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობა უზრუნველყოს.

დელეგაცია მიესალმება მრავალი პოლიტიკური ლიდერის ინტერესს, როგორც მთავრობიდან, ისე ოპოზიციიდან, რომ მიღებულ იქნას და ძალაში შევიდეს პარტიების ქცევის კოდექსი, რომელიც დაგმობს ძალადობას, დაშინებას, პირად თავდასხმებსა და კამპანიის წარმართვის ისეთ სხვა ხერხებს, რომელიც საარჩევნო პროცესების დისკრედიტაციას ახდენს. ასეთი ინიციატივა საჭიროა და შეიძლება, დამატებითი სარგებელი მოუტანოს ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და ხელი შეუწყოს არჩევნების შემდგომ უფრო კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

<u>რეკომენდაციები:</u>

- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაიცვან შეკრების თავისუფლება საკმარისი დაცვის უზრუნველყოფით, რათა განმუხტონ დაძაბულობა და თავიდან აიცილონ ძალადობა.
- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა განახორციელონ საკუთარი ინიციატივები, რომ მიაღწიონ შეთანხმებას საარჩევნო კამპანიის დროს ქცევის კოდექსთან დაკავშირებით. პარტიის ლიდერებმა თავიანთ აქტივისტებსა და კანდიდატებს უნდა შეატყობინონ, რომ მათგან ამ კოდექსის დაცვას მოელიან. მათ უნდა ჩაატარონ საჯარო პრეზენტაცია, სადაც გამოაცხადებენ, რომ უერთდებიან კოდექსს, რაც ელექტორატისთვის მნიშვნელოვანი გზავნილი იქნება.

[2] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „რეგიონულ მედიაზე ზეწოლის გახშირებული ფაქტები“, 2015 წლის 13 ოქტომბერი

- პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა დაგმონ მხარდამჭერების მიერ ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება და ინციდენტების გამოძიებისას ხელისუფლების ორგანოებთან ითანამშრომლონ.
- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ ტრენინგი საარჩევნო უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და უნდა იყვნენ გადანაწილებულნი მაღალი რისკის მქონე უბნებში, რათა თავიდან აიცილონ დესტრუქციული ქმედებები ან სწრაფად მოახდინონ მათი განმუხტვა და გაზარდონ ნდობა.
- უსაფრთხოების სამსახურის თანამდებობის პირებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ ძალადობის ფაქტების მონიტორინგისა და შემთხვევების გამოვლენის პროცესში. ეს მონაცემები შესაძლოა გამოყენებულ იქნას ზოგადი ტენდენციების იდენტიფიცირებისთვის, ჭორების გაფანტვისა და ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით.

სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო

კანონის სამართლიანი და თანმიმდევრული გამოყენების საჭიროება დელეგაციასთან შეხვედრების დროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა. სამოქალაქო საზოგადოებასა და ოპოზიციას, ასევე მმართველ პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ნდობა, რომ საარჩევნო დავებსა თუ ფიზიკურ დაპირისპირებებზე პოლიცია, პროკურატურა ან სასამართლო დროულად, მიუკერძოებლად და ეფექტურად შეძლებს რეაგირებას. არსებობს ფართო კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა უფრო მეტი თანმიმდევრულობა პოლიციის ქმედებებში და უფრო მეტი დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა სასამართლო სისტემაში. დელეგაციამ არაერთხელ მოისმინა საქმეების გამოძიების გაჭიანურების, საქმეების მსვლელობაში შერჩევით მიცემის, წინასწარი პატიმრობის არათანმიმდევრული გამოყენების, მოსამართლეებზე ზეწოლისა და სანქციების არათანაბარი გამოყენების შესახებ. დელეგაციასთან შეხვედრისას რესპონდენტებმა ბოლო თვეების განმავლობაში მომხდარი რამდენიმე შემთხვევა არაერთხელ მოიყვანეს იმის მაგალითად, რომ პოლიციისა და სასამართლოს დამოუკიდებლობა პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე მაინცდამაინც არ ვრცელდება.

ქართული სასამართლოები ამჟამად ორი კერძო სატელევიზიო არხის - „რუსთავი 2“-სა და „მაესტროს“ - საკუთრების შესახებ დავას განიხილავენ. დელეგაციას ამ საქმეების სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით პოზიცია არ გააჩნია. თუმცა აღნიშნავს, რომ სანდო არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც აკვირდებიან პროცესს, გამოთქვეს შეშფოთება სასამართლო პროცესის დროს გარკვეულ გადახვევებთან დაკავშირებით, რამაც, თავის მხრივ, გაამძაფრა აღქმა იმისა, რომ არსებობს პოლიტიკური ჩარევა სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის ან ოპოზიციური მოსაზრებების ჩახშობის მიზნით.[3]

მაისში კორცხელში მომხდარ ძალადობის ფაქტს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ნელი და ჯერჯერობით არაადეკვატური რეაგირება მოჰყვა. ექვს პირს ბრალი წაუყენეს. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პარტიებმა, მათ შორის მმართველი კოალიციის

[3] მედიის განვითარების ფონდი, „განცხადება 5 ნოემბერს „რუსთავი 2“-ის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შესახებ,“ 6 ნოემბერი, 2015

წარმომადგენლებმა, ეჭვის ქვეშ დააყენეს შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავების დაგვიანებული მისვლა და აღნიშნული ფაქტის დაგვიანებული გამოძიება. აღნიშნული შეყოვნებები შედარებულ იქნა სწრაფ და შედეგის მქონე გამოძიებასთან, მათ შორის - წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან, ერთი შეხედვით ნაკლებად მძიმე დანაშაულებებში ბრალდებული ოპოზიციის აქტივისტებისა და დემონსტრაციებში მონაწილე პირების მიმართ.

პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აზრთა სხვადასხვობა იყო იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ დაჩქარებული წესით მიღებული ბოლოდროინდელი ცვლილებები სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, თუ ისინი ხელს შეუშლის სასამართლოს, გამოიტანოს გადაწყვეტილება, მათ შორის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საქმეებზე. სხვა დებულებებთან ერთად, ამ ცვლილებებით იზრდება ქვორუმისთვის საჭირო მოსამართლეთა რაოდენობა, მიუხედავად ვენეციის კომისიის გაფრთხილებისა, რომ ეს შეიძლება შეიცავდეს მოსამართლეთა უმცირესობის მიერ გადაწყვეტილების დაბლოკვის რისკს[4]. აღნიშნული ცვლილებები ბევრის მიერ ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც მცდელობა, შეიზღუდოს იმ სასამართლოს ძალაუფლება, რომელმაც მთავრობისთვის არასასურველი გადაწყვეტილებები გამოიტანა.

ამან და სხვა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის შეამცირა ნდობა სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო სისტემის შესაძლებლობაში, გააკონტროლოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები. დელეგაცია ასევე აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ კორცხელის ინციდენტის შემდეგ განახორციელა რიგი ღონისძიებებისა, მათ შორის პოლიციისთვის ახალი რეგულაციების შემუშავება, კამპანიის დროს შეკრებებზე რეაგირებისთვის. პარლამენტი ასევე განიხილავს ცვლილებებს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც გაამკაცრებს სასჯელს საარჩევნო კამპანიის დროს ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე. აღნიშნული ინიციატივები პოტენციურად დადებით ნაბიჯებს წარმოადგენს, თუმცა ისინი უნდა განხორციელდეს კორცხელის ინციდენტში მონაწილე პირების მიმართ სამართლიანი და სწრაფი რეაგირების პარალელურად.

ამ კონტექსტში ბევრმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ასევე სამთავრობო და ოპოზიციურმა პარტიამ მხარი დაუჭირეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას, როგორც დამატებით ინსტრუმენტს საარჩევნო კრიზისების მართვის, დავების მოგვარებისა და ნდობის აღდგენის პროცესში. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყებათაშორისი კომისია (ყოფილი უწყებათაშორისი საბჭო) არის დროებითი სამთავრობო უწყება, რომელიც იქმნება ყოველი არჩევნების წინ და რომელსაც აქვს უფლებამოსილება, რეკომენდაციით მიმართოს სამთავრობო უწყებებს, სამართალდამცავ ორგანოებს, საჯარო მოხელეებსა და პოლიტიკურ პარტიებს. შეხვედრების დროს ასევე აღინიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისია ყველაზე ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას

[4] *ევროპული კომისია* სამართლის მეშვეობით *დემოკრატიის* დასაცავად, საქართველო Opinion on the Amendments to the Organic Law on the Constitutional Court and to the Law on Constitutional Legal Proceedings, endorsed by the Venice Commission at its 107th Plenary Session (Venice, 10-11 June 2016).

ეყოლება მიუკერძოებელი და კონსტრუქციული ხელმძღვანელობა; დაკომპლექტებული იქნება სამინისტროს წარმომადგენლებით, რომლებიც იქნებიან აღჭურვილნი ძალაუფლებით და ექნებათ ნება, მოახდინონ დროული რეაგირება და გამოყონ ადეკვატური ადამიანური რესურსები. ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და პარტიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პირობები წინა არჩევნების დროს დამაკმაყოფილებელი არ იყო.

ძალადობასთან და პოლიტიკურ ჩარევებთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა მოითხოვს ერთობლივ პოლიტიკურ ნებას და კეთილსინდისიერ მცდელობებს მთავრობის მხრიდან, რეაგირება მოახდინოს დამოუკიდებელი და ოპოზიციური პირების დასაბუთებულ საჩივრებზე. ეს უნდა მოიცავდეს ბოლოდროინდელი დანაშაულებების მიმართ ადეკვატური სანქციების დაწესებას და სამომავლო დაძაბულობასთან ეფექტურად გამკლავებას. პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქალაქეებს აქვთ შესაბამისი ვალდებულება, მოიქცნენ შეგნებულად და მშვიდობიანად.

<u>რეკომენდაციები:</u>

- 22 მაისის კორცხელის ინციდენტზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით გამოძიება გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს და ისინი სწრაფად უნდა გასამართლდნენ. ეს იქნება მნიშვნელოვანი გზავნილი არჩევნებთან მიმართებაში ძალადობის შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით.
- მათ, ვინც კანონს დაარღვევს, ბრალი უნდა წარედგინოს და ისინი უნდა გასამართლდნენ შესაბამისად, თანმიმდევრულად და სწრაფად, რომ ამან შემაკავებელი ეფექტი იქონიოს.
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისმა კომისიამ უნდა აღასრულოს თავისი გაცხადებული მიზანი და დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება კამპანიის დარღვევებზე, ამის შესახებ სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევებში. კომისიამ უნდა შექმნას ძალადობის ან საარჩევნო პროცესის ხელის შეშლის ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმი. კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს კონსტრუქციული, ინკლუზიური და თანამშრომლობითი სამუშაო გარემოს შექმნას.

საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო და ადმინისტრაცია

2015 წელს და 2016 წლის დასაწყისში საარჩევნო კანონმდებლობაში რამდენიმე ცვლილება შევიდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილება და მაჟორიტარული მანდატის საარჩევნო ბარიერის 30-დან 50 %-მდე გაზრდა. ოლქების საზღვრების ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ განაპირობა.

მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩევლების რაოდენობის არათანაბარი გადანაწილება მრავალი წლის მანძილზე დავის საგანს წარმოადგენდა. შესაბამისად, ოლქების საზღვრების ცვლილება უფრო თანასწორი არჩევნებისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ზოგიერთმა ოპოზიციურმა და მმართველმა პარტიამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოხატეს შეშფოთება საზღვრების ცვლილების პროცესის ზოგიერთი ასპექტის გამჭვირვალობასთან, მიუკერძოებლობასთან და ამ პროცესში

დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებით[5]. ეს ამოცანა გადანაწილებული იყო პარლამენტსა (საზღვრების ცვლილება უმთავრესად რეგიონებში) და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო) (საზღვრების ცვლილება ურბანულ ცენტრებში) შორის. გამოითქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ პარლამენტის მიერ საზღვრების ცვლილების პროცესი ჩატარდა პარტიული უპირატესობის მოპოვების მიზნით, წინა არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით. მსგავსი უკმაყოფილება ცესკოს მიერ დაყოფილ ოლქებთან დაკაშირებით არ გამოთქმულა.

საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ყველაზე სადავო საკითხი ეხება დიდი ხნის წინ წამოჭრილ წინადადებებს შერეული საარჩევნო სისტემიდან მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შესახებ. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, პარლამენტის 150 წევრიდან 77 აირჩევა პროპორციული სისტემით პარტიების დახურული სიიდან, ხოლო დარჩენილი 73 - ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში. საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეები თავიანთი მაჟორიტარი დეპუტატებით უკმაყოფილოები არიან, მათთან კონტაქტი არ აქვთ და თვლიან, რომ მაჟორიტარი დეპუტატები ამომრჩევლების ინტერესებს არ წარმოადგენენ. ამის გარდა, ერთმანდატიანმა მაჟორიტარულმა ოლქებმა გამოიწვია უკმაყოფილება იმ აღქმის გამო, რომ ისინი პარლამენტში წარმომადგენლობითობას ამახინჯებენ.

ოპოზიციის, არასაპარლამენტო ოპოზიციისა და მმართველი კოალიციის პარტიების წევრების უმრავლესობამ, მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, 2016 წლის არჩევნებამდე ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის გაუქმებისა და სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის მიზნით საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელების საჭიროების შესახებ ისტორიულ კონსესუსს მიაღწია. თუმცა, პარლამენტის წევრების უმრავლესობის დაპირების - მათ შორის, უმრავლესობის პარტიის საარჩევნო კამპანიის დროს მიცემული დაპირების - მიუხედავად, პარლამენტმა დანაპირების შესრულება და 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე რეფორმის განხორციელება ვერ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი განხილული სისტემა არ არის არსებითად სხვებზე უფრო დემოკრატიული, დელეგაცია აღნიშნავს, რომ კვლევების მიხედვით, ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა დაბალია.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით მხოლოდ მოკრძალებული პროგრესი აჩვენა. საპარლამენტო მანდატების 12% (18 დეპუტატი) ქალებს უკავიათ. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015 წლის გენდერული თანასწორობის ინდექსის (Gender Gap Index) ანგარიშში საქართველო 145-დან 82-ე ადგილს იკავებს. მაგრამ საზოგადოების მხრიდან ქალების პოლიტიკური ჩართულობის მხარდაჭერა მაღალია. NDI-ის კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 70% თვლის, რომ პარლამენტში ქალების წარმომადგენლობა მინიმუმ 30% უნდა იყოს. თუმცა 2011 და 2013 წლებში პარტიულ სიებში გენდერული წარმომადგენლობის ნებაყოფლობითი წახალისებების მიღების შემდეგ, ბალანსის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების კუთხით შემდგომი პროგრესი არ ყოფილა. კანონპროექტებს სავალდებულო

[5] ევროპის კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატის დასაცავად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR):'' [საერთო მოსაზრება საქართველოს საარჩევნო კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით]" 14 მარტი, 2016

გენდერული კვოტების შესახებ პარლამენტმა ან მხარი არ დაუჭირა, ან მათი განხილვა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს ზოგადი ნდობა ცესკოს კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების მიმართ. ცესკომ საქებარი ძალისხმევა გამოიჩინა ამომრჩევლებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით. ცესკომ ასევე გადადგა ნაბიჯები საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიმართულებით - როგორც კანდიდატების, ასევე ამომრჩევლების შესახებ. თუმცა რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და პოლიტიკურმა პარტიამ გამოხატა შეშფოთება საოლქო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი ახალდანიშნული პროფესიული წევრის - რომლებიც უპარტიო პროფესიონალები უნდა იყვნენ - მიუკერძოებლობასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით[6]. ზოგიერთ მათგანს უახლოეს წარსულში პარტიული როლი ჰქონდა.

<u>რეკომენდაციები:</u>

არჩევნებამდე:

- უნდა შეიქმნას ინკლუზიური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც პარტიების, მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაინტერესებული პირები შევლენ. ჯგუფმა არჩევნების შემდგომ საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის საფუძვლები უნდა განსაზღვროს.
- უნდა მოხდეს სავალდებულო გენდერული კვოტების შესახებ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა და კენჭისყრა.

არჩევნების შემდეგ:

- პარლამენტმა უნდა განაგრძოს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული შეთანხმების მიღწევის ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესი.
- პარლამენტმა უნდა გამოიყენოს საარჩევნო კოდექსის განხილვის ინკლუზიური პროცესი იმისთვის, რომ დადგინდეს ერთმანდატიანი ოლქების გადანაწილების მეთოდი და ვადები. პარლამენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს საარჩევნო ოლქების საზღვრის დამდგენი სპეციალური (ad hoc) ან მუდმივი კომისიის შექმნა.
- ცესკომ ნათლად უნდა განსაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრების კვალიფიკაცია და შესარჩევი პროცედურები, მათ შორის - მიუკერძოებლობის სტანდარტები.
- პარტიებმა სრულად უნდა გამოიყენონ ქალების პარტიულ სიებში ჩასმის ფინანსური წახალისებების უპირატესობები.

6 „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ („სამართლიანი არჩევნები“), <u>საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსის მონიტორინგის ანგარიში</u> 1 აპრილი, 2016.

პარტიები

საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს ყველაზე მეტად სამუშაო ადგილები, სიღარიბე და ეკონომიკური მდგომარეობა აწუხებთ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის შეფასებით, პოლიტიკური პარტიები ძირითად ყურადღებას პირად დაპირისპირებებსა და წარსული წყენის განხილვას უთმობენ. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის პოლიტიკურ არჩევანთან დაკავშირებით გადაუწყვეტელია. თუ მოსახლეობა პოლიტიკური სისტემიდან თავს გარიყულად იგრძნობს, ამან, დროთა განმავლობაში, შეიძლება, ქვეყანაში დემოკრატიული წყობა დაასუსტოს და ასპარეზი ნაკლებად დემოკრატიულ ძალებს გაუხსნას.

ამ ეტაპზე ძალიან ადრეა პარტიების და კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიების შეფასება, თუმცა პარტიების ლიდერებთან NDI-ის დელეგაციის შეხვედრა-დისკუსიებმა აჩვენა, რომ პოლიტიკური დღის წესრიგები, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთისგან რთული გასარჩევი იქნება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პარტიები თავს ერთმანეთისგან განსხვავებულად თვლიან. პოლიტიკური დისკუსიები შესაძლებელია, კვლავ გადაფაროს ისეთმა საკითხებმა, რომელიც, საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ამომრჩევლისთვის ნაკლებად საინტერესოა. საზოგადოებრივ მაუწყებელზე სატელევიზიო დებატები კონსტრუქციული იქნება, თუკი ყურადღება მნიშვნელოვან საკითხებზე გამახვილდება. გაუცხოების ტენდენცია მოქალაქეების ინტერესებსა და საჯარო განხილვების შინაარსს შორის ნათლად აისახა არჩევნების დღეს საკონსტიტუციო რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივაში. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს, ქორწინება კაცსა და ქალს შორის ერთობად განსაზღვროს. აღნიშნული ზომა კანონმდებლობაში უკვე არსებული ნორმის დუბლირებაა და ზოგიერთი ამას აღიქვამს სავარაუდოდ საზღვარგარეთიდან შთაგონებულ ტაქტიკად, რომელიც არჩევნებზე კონსერვატიული და ულტრა-ნაციონალისტური ამომრჩევლის სეგმენტის აქტივობის გაზრდას ისახავს მიზნად. მოტივის მიუხედავად, ამან შეიძლება საქართველოს მოქალაქეებს მნიშვნელოვანი საკითხებიდან ყურადღება გადაატანინოს.

პარლამენტში ქალთა უფრო თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფი ბერკეტები პოლიტიკური პარტიების ხელშია მოქცეული. რამდენიმე პარტიამ განაცხადა, რომ აპირებს ნებაყოფლობითი შიდაპარტიული გენდერული კვოტის დანერგვას. დელეგაცია გამოხატავს მხარდაჭერას ამ ინიციატივების მიმართ, განსაკუთრებით კი საარჩევნო კანონმდებლობაში სავალდებულო გენდერული კვოტის არ არსებობის ფონზე.

<u>რეკომენდაციები:</u>

- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გამოკვეთონ და წარადგინონ ნათელი პლატფორმები სოციალური და პოლიტიკური რეფორმების პოზიტიური ხედვის ასახსნელად.
- პარტიებმა და კანდიდატებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მოდერირებულ საჯარო დებატებში, რაც ამომრჩეველს საშუალებას მისცემს, გაიგოს არსებითი პოლიტიკური განსხვავებები. ამასთანავე, პარტიებმა და კანდიდატებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი სიტყვით გამოსვლისგან და ქცევისგან, რაც აკნინებს საზოგადოების ნდობას პოლიტიკური პროცესის მიმართ.

- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მოიზიდონ, გადაამზადონ და მხარი დაუჭირონ ქალებს, როგორც საპარლამენტო, ასევე შემდგომი არჩევნებისთვის და კიდევ უფრო განავითარონ პარტიული ინფრასტრუქტურა ქალების მხარდასაჭერად, ხოლო პარტიის პოლიტიკურ დღის წესრიგში შეიტანონ ისეთი საკითხები, რომელიც ქალებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საარჩევნო გარემო

პარტიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ კამპანიის გარემოს სამართლიანობას პოტენციურად საფრთხეს უქმნის კერძო და საზღვარგარეთიდან შემოსული ფულის მიერ გარემოს დამახინჯება და სახელმწიფო რესურსების ბოროტად და არამიზნობრივად გამოყენება. ადმინისტრაციული რესურსის არასათანადოდ გამოყენების ბრალდებები დამოუკიდებლობის დღიდან საქართველოში ჩატარებული არჩევნების მუდმივი მახასიათებელია. თუმცა, დელეგაციამ წინა არჩევნებისგან განსხვავებით, უფრო ნაკლები საჩივარი მოისმინა ამ საკითხთან დაკავშირებით.

კერძო დაფინანსების საკითხი დელეგაციის თითქმის ყველა შეხვედრაზე წამოიჭრა. მათგან ბევრმა, ვისაც NDI შეხვდა, გამოხატა შეშფოთება კამპანიაში ჩართული ფულის წარმოშობის, მასშტაბისა და ფორმების შესახებ და იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია ამ ფაქტორებს საარჩევნო პროცესის დამახინჯება. იმის მიუხედავად, ეფუძნება თუ არა ეს ინფორმაცია ფაქტებს, ხსენებული მოსაზრებები ფართოდაა გავრცელებული და ამგვარად ყურადღებას იმსახურებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამართულად მუშაობს, თუმცა შეზღუდული აქვს უფლებამოსილება, მათ შორის ვადები და ხელმისაწვდომობა. ასევე აღინიშნა, რომ უფრო მეტი თანამშრომლობა იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის ამ უკანასკნელს თავისი მოვალეობების შესრულებაში შეუწყობს ხელს.

მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამომრჩეველმა არჩევნებზე ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღოს. Freedom House-ის ანგარიშის მიხედვით, "საქართველოს რეგიონში კვლავ ყველაზე თავისუფალი და მრავალფეროვანი მედია გარემო აქვს[7]". ამომრჩეველს ბევრ ტელეარხზე მიუწვდება ხელი, სადაც სხვადასხვა ახალი ამბები და პოლიტიკური თოქ-შოუები გადის. ყველა პარტიას აქვს წვდომა ფასიან საეთერო დროზე და კვალიფიციური პარტიებისთვის გამოყოფილია უფასო საეთერო დროც. ამისდა მიუხედავად, დელეგაციამ აღნიშნულ საკითხზე მოისმინა რიგი შენიშვნებისა. მმართველი კოალიციის დაშლის გამო, პარლამენტმა ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა, უფრო მეტ პარტიას შორის ხელახლა გადაენაწილებინა ფიქსირებული უფასო საეთერო დრო. შესაბამისად ზოგიერთი პარტიისთვის ეს დრო შემცირდა. ამ პარტიებმა და ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ეს ცვლილება არასამართლიანად გამოაცხადეს[8]. გარდა ამისა,

[7] Freedom House, "Freedom of the Press" 2016.

[8] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, "უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილების წესი კვლავ უსამართლოა" 9 ივნისი, 2016.

ზოგიერთმა ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ რუსულ პროპაგანდას ორივე - რუსულ და ქართულენოვან - მედია სივრცეზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. პროპაგანდა მიმართულია უფრო პოლიტიკური დისკურსის არევისკენ და დამახინჯებისკენ, ვიდრე ინფორმირებული დებატებისთვის ხელის შეწყობისკენ.

<u>რეკომენდაციები:</u>

- პარტიების ქცევის კოდექსები დონორებისა და ხარჯების გამჭვირვალობისკენ მოწოდებას უნდა შეიცავდეს. მათ ასევე უარი უნდა თქვან ისეთი შემოწირულობების მიღებასა და გამოყენებაზე, რომელიც საქართველოს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კანონმდებლობასა და სულისკვეთებას ეწინააღმდეგება.
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ჟურნალისტებმა და სამთავრობო უწყებებმა შეძლებისდაგვარად უნდა გააკონტროლონ როგორც დეკლარირებული, ასევე არადეკლარირებული ფულადი სახსრები, რომელიც საარჩევნო კამპანიისთვის ირიცხება.

დელეგაციის შესახებ

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: სემ კოპერსმიტი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი; პერ ეკლუნდი, ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოში; იანუშ ონიშკევიჩი, ევრო-პარლამენტის ყოფილი ვიცე პრეზიდენტი და პოლონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი; მაიკლ პოზნერი, ნიუ იორკის უნივერსიტეტის სტერნის ბიზნესის სკოლის პროფესორი და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიუროში სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე; ლორა ჯუიტი, NDI-ის ევრაზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორი და ლორა თორნტონი, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი.

13-17 ივნისის პერიოდში დელეგაცია თბილისში შეხვდა ფართო პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელ კანდიდატებსა და პარტიებს; ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) წევრებს; სახელმწიფო აუდიტის სამსახურს; საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ინტერ-პარტიული ჯგუფის წევრებს; საქართველოს პრეზიდენტს; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს; საქართველოს პრემიერ-მინისტრს; საგარეო საქმეთა მინისტრს; სახელმწიფო მინისტრს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს; ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფებს; პარლამენტის წევრებს; მედიის წარმომადგენლებს; საერთაშორისო და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. დელეგაცია მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობის და 2005 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული *არჩევნების საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის*[9] საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. NDI ერთ-ერთია იმ 52 მთავრობათაშორის და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომელიც ხსენებულ დეკლარაციას შეუერთდა. NDI არ აპირებს, ჩაერიოს საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში და ასევე არ აპირებს და არც

[9] დეკლარაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ ndi.org/files/DoP-ENG.pdf.

შეუძლია საარჩევნო პროცესის საბოლოო შეფასება. ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ არჩევნების სანდოობასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას საბოლოოდ საქართველოს მოსახლეობა შეაფასებს. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშს დელეგაცია საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მხარდაჭერისა და გაძლიერების სულისკვეთებით წარმოადგენს.

NDI-ის მოსაზრებები ასევე ეყრდნობა: საქართველოში ინსტიტუტის მიმდინარე საქმიანობას; ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) საჭიროებათა შეფასების მისიის ანგარიშს და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (სამართლიანი არჩევნები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI), სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველოს (PMMG) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიმდინარე სადამკვირვებლო ძალისხმევას. ასევე, NDI-ს საქართველოში ეყოლება გრძელვადიან ანალიტიკოსთა ჯგუფი, რომელიც წინასაარჩევნო დელეგაციის დასკვნებს დაეყრდნობა და საქართველოში საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე დარჩება. არჩევნების დღეს NDI საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას განახორციელებს.

არცერთი არჩევნების განხილვა არ შეიძლება იმ კონტექსტის გაუთვალისწინებლად, რომელშიც ის მიმდინარეობს. ნებისმიერი არჩევნების ზუსტი შეფასებისთვის საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტი უნდა მივიღოთ მხედველობაში, მათ შორის: 1) საარჩევნო კანონმდებლობით შექმნილი პირობები, 2) წინასაარჩევნო პერიოდი - კამპანიის დაწყებამდე და მის განმავლობაში, 3) კენჭისყრის პროცესი, 4) ხმის მიცემის პროცედურა, 5) შედეგების დათვლა და შეჯამება, 6) საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა, 7) ახალი ხელისუფლების ფორმირების პირობები.

დელეგაცია მადლობას უხდის: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც დააფინანსა დელეგაციის საქმიანობა და რომელიც, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (Sida) და დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნულ ფონდთან (NED) ერთად, მხარს უჭერს NDI-ის დემოკრატიის მხარდაჭერის პროგრამებს საქართველოში. დელეგაცია ასევე მადლობას უხდის ყველას, ვინც დრო დაუთმო შეხვედრებს და თავისუფლად გამოხატა საკუთარი შეხედულებები. მათმა მოსაზრებებმა ხელი შეუწყო ამ დოკუმენტის შექმნას და შესაძლებელი გახადა მისიის საქმიანობა. NDI გამოხატავს მზადყოფნას, განაგრძოს საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა დემოკრატიული პროცესების, ინსტიტუტებისა და ფასეულობების შექმნისა და შენარჩუნებას პროცესში.

NDI-ის საკონტაქტო ინფორმაცია

დიანა ჩაჩუა, dchachua@ndi.org, [577 779639]

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის,მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულობის ხელშეწყობით
მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მსოფლიოში.

დამატებითი ინფორმაცია NDI–ის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე, www.ndi.org.